

ნინო ქენქაძე — კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
ირინე მამალაძე — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

სადღეისოდ მსოფლიოს მეტნილ ქვეყნებში ჩამოყალიბებულია სოციალური დაცვის ორგანიზებული სისტემები. მოსახლეობის სოციალური დაცვა უკვე XX-ს ბოლოს იქცა განვითარებული ქვეყნების სოციალური პოლიტიკის მთავარ ატრიბუტად. აღნიშნული სისტემები ხელს უწყობენ მოსახლეობის შემოსავლების სტაბილურობას, უზრუნველყოფენ ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების მიღებასა და აუცილებელი სოციალური მომსახურების განვითარებას. სოციალური დაზღვევის ეროვნული სისტემების ფორმირებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

- ხელფასი და გადასახადები;
- მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა და შრომის ბირჟაზე შექმნილი ვითარება;
- დაზღვევის მიზნები და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან, ჰუმანისტურ იდეალებთან და სხვ.

იმაზე, თუ რა ხერხებით, მეთოდებითა და როგორი დოზებით უნდა მიეწოდოს მოსახლეობას სოციალური კეთილდღეობა, გავლენას ახდენს, აგრეთვე ქვეყნის ისტორია, ეროვნული ტრადიციები, უკვე ჩატარებული თუ ამჟამად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები.

1190-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დაწყებული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ორგანულ ნაწილსა და გაგრძელებას წარმოადგენდა რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ცივილიზებულ პრინციპებზე დაფუძნებული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებას. საქართველოს სადაზღვევო ბაზარმა განვითარების რამდენიმე ეტაპი განვილო. მათგან პირველი ეტაპისთვის (1989-1996) ძირითადად დამახასიათებელი იყო მომგებიანი მომსახურების ექსტენსიური განვითარება, მეორისთვის კი (1997 წლიდან დღემდე) სადაზღვევო სისტემის შექმნა, რასაც თან ახლდა მზღვეველთა ძალისხმევის მატება პროდუქციის გასაღების გაფართოებაზე, რეკლამაზე, საზოგადოებასთან კავშირების გაძლიერებაზე, პროდუქტების გასაყიდი ქსელის განვითარებასა და მის სტიმულირებაზე. სადაზღვევო კომპანიების მინიმალური საწესდებო კაპიტალის მიმართ 2005 წლიდან გამკაცრებულმა მა-

თხოვნებმა დააჩიქარა საქართველოს სადაზღვევო კომპანიების შერწყმა-გამსხვილების პროცესი, ხელი შეუწყო ქვეყნის სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარს დღეს აქ მოქმედი სადაზღვევო კომპანიები ქმნიან. 2014 წ. მათი რაოდენობა 16-ს შეადგენდა, რომელთა მიერ ამ წელს მოზიდულმა ჯამურმა პრემიამ 302,6 მლნ ლარს გადააჭარბა. შაქართველოს სადაზღვევო ბაზრის წამყვანი კომპანიები (5%-ზე მეტი წილით) შემდეგ პოზიციებს იკავებენ.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განაწილება კომპანიების მიხედვით 2014 წ*

	კომპანიის დასახელება	მოზიდული ჯამური პრემია ათ. ლარი	ხევდრითი წილი %
1	ჯი პი აი პოლინგი	79384,2	26,23
2	ალდაგი (ძველი)	56688,4	18,73
3	ალდაგი (ახალი)	36829,6	12,17
4	ირაკ	28116,0	9,29
5	არდი ჯგუფი	23282,2	7,69
6	აი სი ჯგუფი	18000,5	5,95

*წყარო: უურნ. აუდიტი, აღიცხვა, ფინანსები 3 (183) 2015 გვ. 33

სამწევაროდ, ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის სადაზღვევო ბაზარი შემცირებას განიცდის: 2012 წ. მოზიდული პრემია 515,5 მლნ. ლარს აღწევდა, 2013 წ. აღემატებოდა 471 მლნ-ს, 2014 წ. კი იგი მხოლოდ 302,64 მლნ. ლარს შეადგენდა, რაც 55,65 %-ით ნაკლებია 2013 წ. მაჩვენებელზე. შემცირებულია ზარალის ანაზღაურების მაჩვენებელიც – 43,47%-ით.

2014 წ. სადაზღვევო კომპანიებში ჯამში 40,3 მლნ. ლარზე მეტი წმინდა მოგება მიიღეს, თუმცა, წინა 2011-2013 წლებში სადაზღვევო ინდუსტრიისათვის წამგებიანი გამოდგა, რის გამოც რამდენიმე კომპანია გაკოტრდა და გაიყიდა კიდეც.

2014 წ. საქართველოს სადაზღვევო ბაზარმა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, კერძოდ, ლიდერმა კომპანიამ „ალდაგი ბი სი აიმ“ სტრატეგია შეიცვალა და კომპანიის რეორგანიზაციით რამდენიმე ბრენდით გაააქტიურა ბაზარზე მუშაობა. ამის შედეგია პირ-

ვეღ პოზიციაზე „ჯი პი აი პოლდინგის” გადანაცვლება. თუმცა, ეს ფორმალობადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან „ალდაგი” ახლა ერთის ნაცვლად რამდენიმე პოზიციაზეა გადანაწილებული.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მომხდარი კიდევ ერთი სიახლეა ის, რომ „ალდაგში” ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებაზე იმუშავებს მის მიერ 2012 წ. შექმნილი „იმედი”, სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს სამედიცინო კორპორაცია „ევექსი”, ხოლო სიცოცხლისა და ქონების დაზღვევას განაგებს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი”. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის ბიზნესში „იმედი” – ის ბრენდის დაბრუნება მისმა კარგმა რეპუტაციამ განაპირობა; რებრენდინგი განიცადა სამედიცინო მომსახურების ბიზნესმაც, რომელიც ახლა მოიცავს „ჩემი ოჯახის კლინიკას” და „უნიმედს” (სულ 1900 საწოლზე მეტი). ეს კლინიკები სამედიცინო კორპორაცია „ევექსის” სახელით იმუშავებენ, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით 36 კლინიკას აერთიანებს.

2014 წ. გაზრდილია დაზღვევის ბაზარზე გადაზღვევის მაჩვენებელი, ანუ, აქ მომუშავე კომპანიებში ცდილობენ კიდევ უფრო მეტი რისკები გადააზღვიონ. რაც შეეხება ბაზრის სტრუქტურას, იგი აპსოლუტურად უცვლელია. თუმცა, საყურადღებოა, რომ ჯამური პრემიის შემცირება ძირითადად განაპირობა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების შეჩერებამ და კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან სახელმწიფო პროგრამების გასვლამ მთლიანობაში შეკვეცა სამედიცინო დაზღვევის წილი სხვა პროდუქტების მიმართ (72-დან 43%-მდე).

ნიშანდობლივია, რომ სადაზღვევო ბაზრის ძირითადი მოთამაშები მსოფლიო კაპიტალის ბაზრების ძირითად მოთამაშე ინსტიტუციურ ინშესტირებად გვევლინებიან. ამდენად, დაზღვევის ინდუსტრია ეკონომიკური განვითარების ერთერთი ნამყვანი სექტორია. კერძოდ, ევროპის სადაზღვევო კომპანიების აქტივების თითქმის 60% ობლიგაციებშია განთავსებული¹. რაც შეეხება საქართველოს საფონდო ბირჟას, აქ მოქმედი 7 კომპანიიდან არცერთი არაა სადაზღვევო ორგანიზაცია². აქედან გამომდინარე

ამჟამად მეტად აქტუალურია ქართული სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოტენციალის გაუმჯობესება. არადა, ინვესტიციების მთავარი რესურსები – სიცოცხლისა და ასპენსიონ დაზღვევა პრაქტიკულად განუვითარებელია; სადაზღვევო აქტივების ძალიან დიდი ნაწილი საბანკო დეპოზიტებზეა განთავსებული: ეკონომიკური არასტაბილურობისა და მაღალი ინფლაციის პირობებში მოქალაქეები თავს იკავებენ გრძელვადიანი ინვესტიციებისგან და საბანკო პროდუქტებს ამჯობინებენ, რაც მეტ სარგებელს აძლევს მათ, ვიდრე, ვთქვათ, სიცოცხლის დაზღვევის პოლისი; ანალოგიური მდგომარეობაა საპენსიონ დაზღვევის ბაზარზეც, რომელიც პრაქტიკულად, არც კი ვითარდება.

მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ქართული სახელმწიფო უმნიშვნელლო როლს თამაშობს სიცოცხლისა და საპენსიონ დაზღვევის ბაზრების განვითარების ხელშეწყობაში, რისთვისაც აუცილებელია მათვის საგრძნობი საგადასახადო შეღავათების დაწესება.

გამოყენებული ლიტერატურა

- თ. ვერულავა, თ. ელიაშვილი. სადაზღვევო კომპანიების, როგორც საქართველოს ეკონომიკის ინვესტირების წყაროს გამოყენების პერსპექტივები. ელ. რესურსი: <http://hepoins.com/index.php/component/k2/item/35-insurance>.
- მ. კილაძე, ა. საფარიძე. ინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. სადაზღვევო ბაზარი. თსუ, თბ. 2014 გვ. 6.
- დაზღვევის განვითარება საქართველოში. ელ. რესურსი: leavingstone.com/dazgveva/dazgvevis-ganvitareba-sakartveloshi/
- თ. იობაშვილი. სადაზღვევო კომპანიების 2014 წლის შედეგები. ჟურნ. აუდიტი. ალრიცხვა. ფინანსები. 3 (183). 2015 გვ. 29-33
- O. Wyman. Funding the future-insurer's role as Institutional investors. Brussels, June 2013
- ლ. მელონანი-ფუტკარაძე. სოციალური დაზღვევის როლი მოსახლეობის სოციალური რისკებისგან დაცვაში. დისერტ. ბათუმი, 2013 გვ. 3-6, 94-121

¹ O. Wyman. Funding the future – Insurer's role as institutional investors. Brussels, June 2013

² თ. ვერულავა, თ. ელიაშვილი. სადაზღვევო კომპანიების როგორც საქართველოს ეკონომიკის ინ-

ვესტირების წყაროს გამოყენების პერსპექტივები. ელ. რესურსი: <http://hepoins.com/index.php/component/k2/item/35-insurance>